ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 თებერვალი, შაბათი, 1990 წ.
№ 33 (10202) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობას იძენს

რესპუბლიკის საფეხბურთო კოლექტივები მიმდინარე წლის სეზონიდან მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. ისინი არ გამოვლენ საკავშირო ფედერაციის მიერ გამართულ ასპარეზობებში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ -ყრილობაზე, რომელიც 15 თებერვალს გაიმართა.

თბილისის ჭადრაკის სასახლეში შეიკრიბნენ ისინი, ვისაც აღელვებს ქართული ფეხბურთის შემდგომი ბედი და მისი განვითარების პერსპექტივები — სპეციალისტები, სპორტსმენები და ფეხბურთის ვეტერანები, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები, ჩვენს რესპუბლიკაში ამ საყოველთაო სახალხო თამაშის თაყვანისმცემლები.

განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა: რესპუბლიკის დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის გამართვისა და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ. გამოითქვა რამდენიმე წინადადება. ერთნი თვლიდნენ, რომ ქვეყნის ჩემპიონატებიდან გამოსვლამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქართული ფეხბურთის დონეზე. მეორენი, გვთავაზობდნენ რა ეტაპობრივ გამოსვლას, ასაბუთებდნენ ამას იმით, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო მეურნეობა არ არის მზად ასეთი ასპარეზობის გამართვისათვის. მისი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზა არ არის ჯერ კიდევ ისეთი ძლავრი და წლევანდელი სეზონი უნდა გახდეს 1991 წელს დამოუკიდებელ საქმიანობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადასვლისათვის მოსამზადებელი ეტაპი.

მესამე ვარიანტი, რომლის მომხრე დიდი უმრავლესობა იყო, ითვალისწინებდა საკავშირო საფეხბურთო ორგანიზაციიდან დაუყოვნებლივ გასვლასა და მისგან დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების გამართვას. ეს აიხსნებოდა იმითაც, რომ დღეს ქვეყნის საფეხბურთო საქმეებში სრული გაუგებრობა სუფევს. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია უუფლებოა და მას არ შეუძლია დაამყაროს წესრიგი. მისი ხელმძღვანელი მოხელეები კი უფრო საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნავენ, ვიდრე თამაშის შემდგომი განვითარებისათვის. ახლად შექმნილი რესპუბლიკური ფედერაცია უნდა გახდეს ბატონ-პატრონი საკუთარ სახლში. ქვეყნის ჩემპიონატებიდან გამოსვლამ უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს ქართული ფეხბურთის ნდგომარეობაზე, რესპუბლიკას უნდა მიეცეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოიხმაროს საკუთარი საფეხბურთო რესურსები. გამოძებნოს დამოუკიდებელი კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღინიშნა აგრეთვე, რომ ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში შექმნილი პოლიტიკური ვითარება გართულდა, და არ არის იქ საათამაშოდ ჩასული სპორტსმენების უშიშროების გარანტია. და მთავარი მოსაზრება: ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობა გახდება მნიშვნელოვანი ნაბიჯი რესპუბლიკის სპორტული სუვერენიტეტის გზაზე.

კენჭის საყრელად გამოიტანეს მეორე და მესამე ვარიანტები: ფედერაციიდან ეტაპობრივი ან დამოუკიდებელი გამოსვლა. 39.1 დელეგატიდან აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა მესამე ვარიანტს. 15 დელეგატი წინააღმდეგი იყო. სამმა თავი შეიკავა.

შემდეგ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. დაასახელეს ექვსი კანდიდატურა: ცნობილი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, ყოფილი ფეხბურთელები კახი ასათიანი, ვლადიმერ ბარქაია, ილია დათუნაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე და სპორტული ჟურნალისტი ზურაბ პეტრიაშვილი. ამ უკანასკნელმა ხუთმა აცილება მისცა საკუთარ კანდიდატურებს. ხმათა უმრავლესობით ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია ნ. ახალკაცი.

ყრილობამ აგრეთვე დაამტკიცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება, კინორეჟისორი ალექსანდრე ჟღენტი აირჩია საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ. პრეზიდიუმის შემადგენლობა მთლიანად არ აურჩევიათ, რადგან ნ. ახალკაცმა განაცხადა, რომ უნდა დაზუსტდეს ზოგიერთი კანდიდატის პოზიციები.

მიღებულ რეზოლუციაში ახალი ფედერაციის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა 10 მარტისათვის წარმოადგინოს საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების გამართვის დებულება, აგრეთვე შეიმუშაოს ამ ასპარეზობათა კალენდარი „შემოდგომა-გაზაფხულის“ სისტემით, რომელსაც მრავალმა დელეგატმა დაუჭირა მხარი. ამ დოკუმენტში აღნიშნულია: მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქცია.

(საქინფორმი).

საქართველოს ჩემპიონატი ცურვაში

თბილისში, ვაკის საცურაო აუზში მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი ცურვაში. ასპარეზობის პირველ დღეს თბილისელმა რევაზ ელიზბარაშვილმა 50 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში თავისივე რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა — 30,4.

აღსანიშნავია, რომ ელიზბარაშვილი თითქმის ორ წელიწადს, ავადმყოფობის გამო არ ვარჯიშობდა და ცურვა ხუთიოდე თვის წინათ განაახლა.

ამავე ჩემპიონატში რევაზის დამ — ანამ კომპლექსურ ცურვაში ბრინჯაო ადგილი დაიკავა. ამ სურათზე სწორედ და-ძმა ელიზბარაშვილები არიან აღბეჭდილნი.

ავთანდილ გურახაშვილის ფოტო.

წინ გადადგმული ნაბიჯი

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე ჩვენმა მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა მესამე ადგილი მოიპოვეს. მაგრამ მოგვიანებით, უფრო ზუსტად კი, 1988 და 1989 წლებში, ქვეყნის ჩემპიონატებზე მხოლოდ მეცხრე ადგილებზე გადიოდნენ.

და აი, ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა, ერთბაშად, ასე ვთქვათ, მთელი ხუთი ნაბიჯი გადადგეს წინ. ლიტვის ქალაქ კლაიპედაში სსრ კავშირის ჩემპიონატზე ჯგუფურ ვარჯიშში ქართველმა მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა (მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძე და სპორტის ოსტატი ლალი დოლიძე) მეოთხე საერთო გუნდური ადგილი დაიკავეს 14 გუნდს შორის უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და ლიტვის ნაკრებთა შემდეგ.

პარალელურად კლაიპედაში ტარდებოდა „ოლიმპიური იმედების“ ტურნირი. მასში თბილისელი სპორტის ოსტატი თინა ნადირაშვილიც („შევარდენი“) გამოდიოდა — მე-19 ადგილი.

ერის პირველი ჩემპიონი დოლარი

„ლელოს“ მკითხველებს ამ დღეებში ვაუწყეთ, რომ გადაიდგა რეალური ნაბიჯი საქართველოს სპორტის სუვერენიტეტის გზაზე — ევროპის ტრადიციული კარატეს ფედერაციამ თავის რიგებში სრულუფლებიან წევრად მიიღო საქართველო: ტრადიციული კარატეს ფედერაცია. ერთ სახისახარულო ცნობას კვალდაკვალ მოჰყვა მეორე — ჩვენი გუნდი მიწვეულია სპორტის ამ სახეობაში მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ეს შეჯიბრება გაიმართება 5-11 მარტს პერუში.

ჩემპიონატში დამოუკიდებლად მონაწილეობას ახლავს თავისი პროგლემები, პირველ ჯოვლისა, ეს ეხება გუნდის დაფინანსებას. რესპუბლიკაში ვალუტის დეფიციტის პირობებში ეს საკითხი არც თუ ისე ადვილი მოსაგვარებელია, არადა, დრო არ ითმენს, ჩემპიონატი კარსაა მომდგარი.

ჩვენ იმედს გამოვთქვამდით, რომ ქართული სპორტის ქომაგები და რესპუბლიკის ის ორგანიზაციები, ვისაც შეუძლია გაიღოს ვალუტა, გამოგვეხმაურნენ. ასეც მოხდა, პატრიოტული ვალი პირველებმა მოიხადეს და გუნდს დახმარების ხელი გაუწოდეს „საქიმბეჭდმა“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დევი ვერულეიშვილმა და გურამ ახვლედიანმა საქართველოს სპორტსახკომს აცნობეს, რომ ერთობლივად ჩვენი კარატისტების გუნდის დასაფინანსებლად გაილეგენ 1000 დოლარს. მაშ ასე, უულაბაში პირველი შენატანი გაჩნდა. ვინ იქნება შემდეგი? გვაცნობეთ! გელით, სპონსორებო!

ბრინჯაოს მედალი თბილისელ მხტომელს

წუალში მხტომელთათვის წლევანდელი სპორტული სეზონი დაიწყო პენზაში, სადაც ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე და ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი.

შეჯიბრების პირველი და მეორე დღე დაეთმო ერთმეტრიან ტრამპლინიდან ხტომას, რომელიც სანახაობრივი თვალსაზრისით არ არის ისეთი ეფექტური, როგორც ვთქვათ კოშკიდან ხტომა. მაგრამ მონაწილეებმა საკმაოდ მაღალი ტექნიკური მომზადება გამოავლინეს და ბევრი ურთულესი ილეთიც აჩვენეს.

გოგონებში გამარჯვება და ოქროს მედალი სვერდლოვსკელმა ი. ლაშკომ დაისაკუთრა — 446,97. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოველი სპორტსმენები ვ. ილინა (412,98) და ო. კაპირინა (400,52).

ვაჟებში ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უველას აჯობა მოსკოველმა ს. ლომანოვსკიმ, რომელმაც 555,0 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი წილად ხვდა მინსკელ ა. სემენიუკს (550,62), ბრინჯაოს მედალს კი თბილისელი გ. შელიუგოვი დაეპატრონა (528,09).

სანამ ჩრდილები დამოკლდება

ანუ რეპორტაჟი თბილისის ზღვიდან

პატარა ბიჭი კამკამა წყალში კენჭებს ისროდა. აიღებდა ერთს, გადააგდებდა, შემდეგ კვლავ დაიხრებოდა მშრალი კენჭებისკენ. იქვე შორიახლოს ბებია-ბაბუა დროს არ კარგავდნენ — ვარჯიშობდნენ. გამოველაპარაკე, გულნაზ და კუკური ჩაკვეტაძეები აღმოჩნდნენ. მათს წლინახევრის შვილიშვილს ვაჟა ერქვა.

— თითქმის ყოველდღე ამოვდივართ. ბავშვი დარბის, თამაშობს. ამასობაში ჩვენ ვვარჯიშობთ ზღვის პირას. უბრალო გავლა-გამოვლაც მხნეობას გვმატებს.

იქვე, გვერდით, ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის სპორტული კომპლექსია — „თოლია“. იქიდან ბუერთზე დარტყმების ყრუ ხმა ისმის. სიმართლე რომ გითხრათ, ამ დილაუთენია სწორედ მოვარჯიშეებთან შესახვედრად ამოვედით. დიდი ხანია ვეფიქრობდით, რომ მათს შესახებ მოგვეთხრო, მათი ცხოვრების წესი სხვებისთვის მაგალითად დაგვესახა. მოვარჯიშეთაგან უმრავლესობას ხომ კარგა ხანია დაავიწყდა საავადმყოფოსა და აფთიაქის გზა.

„თოლიას“ ხელმძღვანელ იასონ ტყემალაძეს გამოველაპარაკეთ. ცნობისთვის: ბატონი იასონი 62 წლისაა. პროფესიით ინჟინერია, მაგრამ ამჟამად ფორტეპიანოს რესტავრატორ-ამწყობად მუშაობს. შვიდოდე წლის წინ 50 მეტრს ქოშინით ძლივს დარბოდა, დღეს კი 25 კილომეტრს ფარავს. შეუძლია მთელი საათი შეუსვენებლად ითამაშოს ფეხბურთი.

— კომპლექსისთვის ნოდარ ჯანგირაშვილის სახელი შემთხვევით არ დაგვირქმევია. ნოდარი ძალიან ახლოს იყო ჩვენთან, ხშირად დაგვყვებოდა შეჯიბრებებზე — უმეტესად ზამთარში, ეგრეთ წოდებულ „ლომვეშაპების“ ასპარეზობაზე. იგი გვახლდა კალუგაშიც, როდესაც საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. ალბათ თქვენთვის საინტერესო იქნება ის, რომ აქ მომეცადინეთაგან მესამედი ზამთარში ზღვაში ცურავს. სულ ჯგუფში ორასი წევრია.

● ბატონო იასონ, ვისაც რაიმე ავადმყოფობა აქვს გადატანილი ვარჯიშებს როგორ ურჩევთ?

— ფინელები ამბობენ, თუ ადამიანი საუნის ზღურბლამდე მივა, ორთქლამდეც მიაღწევსო. ჩვენ საქმეში სურვილი ბევრს ნიშნავს, მაგრამ, ცხადია, სიფრთხილეა საჭირო. ჯგუფის წევრებს ვარჯიშებს ინდივიდუალურად, ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ვუნიშნავთ. ძირითადად ცნობილ მეცნიერების — ამერიკელი კენედ კუპერისა და საბჭოთა აკადემიკოსის ნიკოლაზ ამოსოვის რეკომენდაციებს მივდევთ. სხვათა შორის, თანამედროვე მედიცინის მოძღვრებით ვარჯიში მაშინაა ნაყოფიერი, როდესაც მაჯისცემის სიხშირე ორმაგდება. ჩვენს „არსენალში“ მთავარია გამაჯანსაღებელი მინიფეხბურთი, რომლითაც სირბილს ვცვლით, კრივი, ჩოგბურთი. პროგრამაში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე ღერძზე, ორძელზე ვარჯიშს. ბევრი ჩვენგანი იოგის სისტემით ვარჯიშობს.

● უველას შეუძლია კლუბში გაერთიანება?

— ცხადია. ოღონდ ერთი პირობით — თამბაქოს არ უნდა ეწეოდეს. ვისაც საამისოდ ნებისყოფა არ ეყოფა, ის ვერც ჯანმრთელობას გაიკეთებს.

ბატონ იასონთან საუბარს უფროა ქვემოთ გავაგრძელებთ. ახლა კი რამდენიმე მოვარჯიშეს გაგაცნობთ.

გურამ ძაგანაშვილი (თბილისის მეტროპოლიტენის ელექტრომექანიკოსი, 52 წლის):

— 1973 წელს მიკროინფარქტი დამემართა. მთელი შვიდი წელი ვიავადმყოფე, მერე „ივერიას“ მივაკითხე — მაშინ ასე ერქვა „თოლიას“. უკვე ორი წლის შემდეგ კროსებში ვმონაწილეობდი. ქალაქის პირველობებში ათ და ოც კილომეტრიან დისტანციებზე საპრიზო ადგილები დავიკავე. თან ზღვაშიც ვცურაობდი. ყოველდღე. როგორც

იხ. გვ. 2 - 3





სანამ ჩრდილები დამოკლდება

(დასასრული)

წესი, ხუთ-ექვს კილომეტრს დავრბივარ. სამწუხაროდ, ბევრი მხოლოდ მაშინ მოეგება ხოლმე გონს, როდესაც ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყევა. როგორ მინდა დამიჯერონ, რომ ვარჯიში მათ მხოლოდ სიკეთეს მოუტანს. ავადმყოფ ადამიანს ხომ სიცოცხლის ხალისი და ინტერესიც ეკარგება. ყველაფერი ეს ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი.

რეზინის ქარხნის მწნეხავი როლანდ ღაჰავა თავის ვაჟებთან ჩვიდმეტი წლის კახაბერთან და ცამეტი წლის ირაკლისთან ერთად ვარჯიშობდა.

— ორმოცდაათხი წლის კაცი ვარ და ავადმყოფობის მიზეზით სამსახური ჯერ არ გამიცდენია.° კახაბერი სპორტის ოსტატია თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. მყავს ქალიშვილიც — ნონა, რომელიც მძლეოსნობის სექციაში დადის, ოთხივენი ექვსის ნახევარზე აქ ფეხით ამოვდივართ და ერთ საათს ვვარჯიშობთ.

ჯემალ იაკობიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის განყოფილების გამგე:

— ამ ორი წლის წინ ავად ვიყავი — მალალი წნევა მქონდა. ექიმებმა ამიკრძალეს ვარჯიში, მაგრამ არ შეეეპუე. აქ ამოვედი, ექვს თვეში წნევა მომიწესრიგდა, მარწან აპრილიდან კი ზღვაშიც დავიწყე ცურვა.

სხვა მოვარჯიშეებსაც გავესაუბრეთ. ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ ერთი სატკივარი კი ასევე ყველას აწუხებდა— აქ სავარჯიშოდ ელემენტარული პირობებიც არა გვაქვსო.

იასონ ტყემალაძე: — ჩვენს ვარჯიშს ხშირად დასწრებიან უცხოელი ტურისტებიც. ძალიან მოსწონთ აქაურობა და გაოცებას ვერ ფარავენ, ასეთი მარგალიტი რა უპატრონოდ გაქვთ მიტოვებულიო. ერთადერთი, რაც ლენინის რაიონის აღმასკომმა გაგვიკეთა, მინიმოედანია. მაგრამ ეს მოედანიც იმდენად პატარაა (23X13), მინიფეხბურთის თამაში გვიჭირს. ათი მეტრიც რომ მიემატებინათ, ფრენბურთისა და ჩოგბურთის სათამაშოდაც გამოდგებოდა. არადა, ჩვენი ბიჭები ფეხბურთს საკმაოდ კარგად თამაშობენ. და მინიფეხბურთში საქალაქო შეჯიბრებებშიც შეეძლოთ წარმატების მოპოვება. აქ კი თამაშის გაშლა, კომბინაციის დამუშავება არ შეიძლება. გარდა ამისა, ჩვენი მოედანი ზაფხულობით დამსვენებლებსაც ემსახურება. ტანსაცმელს ღია ცის ქვეშ ვაწყობთ. კარგ ამინდში კიდევ რა უშავს, მაგრამ ავდარში როგორ მოვიქცეთ, ნავარჯიშებ-გახურებულებმა სველი ტანსაცმელი ჩავიცვათ? სავარჯიშო ინვენტარს რკინის ყუთში ვინახავთ და სამი კლიტით ვკეტავთ. ბოლო ხანს, არ გაგეკვირდეთ და, ჯაჭვითაც კი „დავაბი“, რადგან გაგვიტეხეს და ჩვენი ისედაც ღარიბი ინვენტარი მოგვპარეს. ჩვენი ძალებით გვინდოდა მოგვეწყო გასახდელი. დავიწყეთ კიდეც, მაგრამ ლენინის რაიონის აღმასკომმა სასტიკად აგვიკრძალა. საინტერესოა, ქალაქის სპორტკომიტეტი რას ფიქრობს? ნუთუ ძნელია, რომ ისეთი, მართლაც შესანიშნავი ადგილი, როგორიც თბილისის ზღვა და მისი შემოგარენია, ჯანმრთელობის ნამდვილ კერად გადავაქციოთ? „ყეინის გორის“ ბილიკზე დიდი ხანია ელექტროგაყვანილობის ბოძები დგას, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანაზე — განათების დამონტაჟებაზე აღარავის უფიქრია. კარგია, რომ კუს ტბასა და ლისის ტბას ამდენი ყურადღება ექცევა, ვფიქრობთ, თბილისს ზღვაც იმსახურებს ამას, მით უმეტეს, რომ იგი ორ ნაბიჯზეა თემქის დასახლებიდან...



„გარდერობიც, საკუჭნაოც“...

ვიცით, როდესაც რესპუბლიკას ეკონომიკურად უჭირს, ყველა პრობლემას ერთად ვერ მივხედავთ, მაგრამ ის, რაზეც ზემოთ იყო საუბარი, სწორედ საქართველოს მომავალს სჭირდება, ჩვენს შვილებს სჭირდებათ. მით უმეტეს, რომ არც ერთი დასახელებული პრობლემის გადაჭრა დიდ თანხებს არ მოითხოვს. თუკი მოვიწდომებთ, მათი მოგვარება ადვილად შეიძლება. იმედი გვაქვს, ლენინის რაიონის ხელმძღვანელობა, ქალაქის სპორტკომიტეტი გულისხმიერად მოეკიდებიან ამ საქმეს და უახლოეს პერიოდში ყველა საკითხს პრაქტიკულად გადაწყვეტენ.

ჯემალ კასრაძე.

ქალაქების სტარტები

სპორტულ წრთობასთან ერთად გეოგრაფიის კარგი გაკვეთილი მიიღო ოთხი წლის ქუთაისელმა გოგონამ თეა ნიკოლაძემ, რომელიც სხვადასხვა ასაკის ათასობით თანამოქალაქესთან ერთად ჩართული იყო ქალაქ კინგსტონთან დაუსწრებელ ასპარეზობაში. ქუთაისი ჩვენი ქვეყნის იმ 11 ქალაქთაგანია, რომელიც მონაწილეობდა სსრ კავშირ-კანადის პროგრამაში „სპორტი ყველასთვის“.

— იმთავითვე დავიჭირეთ თადარიგი, — თქვა საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დავით ფრუიძემ. ეს ეხება მარტო სპორტულ კი არა, საქმის შემეცნებით მხარესაც. ქუთაისელებმა უკეთ გაიცნეს შორეული ქვეყანა და კერძოდ, ქალაქი კინგსტონი.

ქუთაისში, პირველ ყოვლისა, კეთილმოეწყო სპორტული ბაზები და მეტი რაოდენობის მოსასპარეზეთა მიზიდვის მიზნით შეიქმნა მარტივი ტიპის ახალი მოედნები. ყურადღება გადატანილი გვქონდა სპორტის ეროვნულ სახეობებზე — ჭართულ ჭიდაობაზე, ლახტზე, ლელოზე და სხვა. რა თქმა უნდა, არც ტრადიციული სახეობები დაგვიწყიებია, გაიმართა მასობრივი შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთში, მინიფეხბურთში, სიმძიმის აწევასა და ბაგირის გადაძალვაში. ნორჩი სპორტსმენები ტოლს არ უდებდნენ უფროსებს. სკოლამდელები ამ დღეებში მონაწილეობდნენ მხიარულ სტარტებში. თავი ისახელეს საოჯახო გუნდებმაც.

კინგსტონთან ყოველდღიურად ხდება ინფორმაციის გაცვლა, მაგრამ დაუსწრებელი შეჯიბრების შედეგები 15 თებერვალს გაირკვევა, როცა დამთავრდება სსრ კავშირისა და კანადის ქალაქების ასპარეზობა.

ბ. კილაძე,
ხაკდესის კორ.

ქუთაისი.

ტექნიკუმელთა თვალით

(„კონცეფციის პროექტზე“ ერთი მცირე შენიშვნის გამო)

პატივცემულო რედაქცია! ჩვენი კოლექტიური წერილი გარკვეულწილად „რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტთანაა“ დაკავშირებული. მისი დაწერის სურვილი კი დაგვებადა ფიზიკური კულტურის ერთ გაკვეთილზე, როდესაც ჩვენმა საყვარელმა პედაგოგმა, ილია ლეკვეიშვილმა შეცვალა გაკვეთილის ჩატარების გეგმა და „კონცეფციის პროექტის“ ზოგიერთი საგულისხმო დეტალი გავაცნო. როცა მან ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდაზე ჩამოგვიგდო სიტყვა და წაგვიკითხა „კონცეფციის პროექტის“ ეს განაყოფი, ბევრმა ჩვენგანმა დანანებით შენიშნა, რომ ამ შესანიშნავ დოკუმენტში ასახული არაა ასეთი საკითხი: „პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით პერიოდულად განზოგადდეს მოწინავე, გამოცდილი ფიზკულტურული მუშაკების, პედაგოგებისა და მეთოდისტების მუშაობის გამოცდილება“!

საქართველოში ღმერთმა ნუ გამოლიოს ფიზიკური აღზრდის კარგი პედაგოგები, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის ილუშა მასწავლებელი წარმოადგენს იმ კაცს, რომლის საქმიანობასაც, მართლაც, რომ უნდა იცნობდეს რესპუბლიკა. მან ნ. ნიკოლაძის სახელობის საბაზო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დარბაზის კარი, როგორც პედაგოგმა ამ სამი ათეული წლის წინ შეაღო და მას შემდეგ სოფლის მეურნეობის ჯანმაგარი სპეციალისტების აღზრდა ცხოვრების მიზნად გაიხადა. თუ ჩვენი ტექნიკუმის ლელობურთელები, ფეხბურთელები, კალათბურთელები, მძლეოსნები, ფრენბურთელები მოწინავე ადგილებს იკავებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების პირველობებზე, ეს სწორედ მისი დამსახურებაა. ტექნიკუმის ფრენბურთელები ჩვენამდე 5-ჯერ იყვნენ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ჩემპიონები, 1989 წლის აპრილში კი ილია მასწავლებლის ხელმძღვანელობით გავაგრძელეთ ეს ტრადიცია და მეექვსედ მოვიპოვეთ ჩემპიონის წოდება.

მისი მუხლჩაუხრელი შრომის შემხედვარეთ აღარ გვიკვირს, როცა ამბობენ, რომ ტექნიკუმისათვის მეორე — ფიზკულტურული პროფესიის მინიჭების უფლების მოპოვებაში ამ სასწავლებლის უცვლელ ხელმძღვანელ პოლიკო შიქაძესთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის ილია მასწავლებელსაც.

დიახ, ასეთ გულისხმიერ, უაღრესად კეთილ, მშობელივით ახლობელ პედაგოგებზე უნდა იწერებოდეს, ეცნობოდნენ მათ საქმიანობას, რათა სხვებიც შეეცადონ მათ დონემდე ამაღლებას. სწორედ ამის გამო ვთხოვთ, „კონცეფციის პროექტის“ ავტორებს მასში ჩართონ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი განმარტება.

პატივისცემით: კობა ონიანი, ხვიჩა ჩანკსელიანი, ვახტანგ შვანგირაძე, ამბერკი თევზაძე, გოჩა ეორეულიანი, გელა მაჭარაძე, დიმა გულბანი, გიორგი ახობაძე, ედიშერ ბაკურაძე, მამუკა ჩომახიძე.

დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის საბაზო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები, ტექნიკუმის ნაკრები გუნდის წევრები ფრენბურთში.

ნერილი რედაქციას

ძვირფასო რედაქციავ, თანრიგოსანი სპორტსმენი არა ვარ, მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტს ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია. მყავს სამი შვილი, რომლებიც სპორტსკოლაში დადიან. ჩვენი საცხოვრებელი სახლები საუკუნეზე დიდი ხნის წინათაა აშენებული, ამიტომ, ცხადია, სპორტული მოედნები არა აქვს. მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა. ეზოში სამოცამდე მოზარდია. მათგან ნაწილი სპორტის სხვადასხვა სექციაშია ჩაბმული, რადგან კილომეტრის რადიუსით არავითარი მარტივი ტიპის მოედანი არა გვაქვს, ეზოში გამოვნახე პატარა ფართობი და ჩემი სახსრებითა და ფიზიკური გარჯით მოვაწყვე მარტივი ტიპის მოედანი. ამ ადგილზე ადრე ნაგავი ეყარა. ახლა, როცა უკვე ბავშვებს ვარჯიშის შესაძლებლობა მიეცათ (თითქმის 2 წელია), რამდენიმე მეზობელი ითხოვს, ჩვენი ადგილია და აქ მანქანების გარაჟი უნდა ავაშენოთ. არადა, სანამ მოედანს მოვაწყობდი (თუ ამას მოედანი ჰქვია), სიტყვიერად შევუთანხმდი რკინიგზის ხაშურის საბინაო სამმართველოს, რომელმაც ნება დამრთო. ახლა, როდესაც მოედნის ადგილზე გარაჟების აშენებას ითხოვენ, რატომღაც, საბინაო სამმართველო ამ თხოვნას უმეტეს მხარს.

ძალიან გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი თხოვნა და დაგვეხმაროთ.

პატივისცემით,
ზურაბ ხარატიშვილი.

• • •

რედაქციისაგან: იმედი გვაქვს ქალაქის სპორტის მესვეურები და რკინიგზის საბინაო სამმართველო გულთან მიიტანენ ზურაბ ხარატიშვილის თხოვნას და ეზოს ბავშვებს მოედნის გარეშე არ დატოვებენ.

მოკლედ

მაიაკოვსკში დამთავრდა რაიონული პირველობა ფეხბურთში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პედაგოგიური კოლექტივების მონაწილეობით. ასპარეზობის დამაგვირგვინებელ ფინალურ მატჩში, სადაც ერთმანეთს დიმის პირველი და ფერსათის მეორე საშუალო სკოლების გუნდები შეხვდნენ, უფრო ძლიერად დიმელებმა ითამაშეს, გაიმარჯვეს — 2:0 და საპატიო პრიზსაც დაეუფლნენ.

ვ. ბარუჩავა.

ხაშურში დამთავრდა მინიფეხბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ ქალაქებისა და სოფლების საშუალო სკოლების გუნდები. საინტერესო ასპარეზობას ხაშურის სპორტკომპლექსი მასპინძლობდა. პირველი ადგილი წილად ხვდა იტრიის სკოლის გუნდს, რომელსაც გარდამავალი თასი გადაეცა.

ასევე. უძლიერესის სახელი მოიპოვა ამ სკოლის მოსწავლე კალათბურთელთა გუნდმაც. II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს ხციხისა და ალის საშუალო სკოლის გუნდებმა.

მ. ლომიძე,
ხაშურის სპორტსკოლის მეთოდისტი.

ИТАЛИЯ-90

საბჭოთა ნაკრების მარცხი

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები, როგორც ცნობილია, ამჟამად იტალიაში იმყოფება მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად და ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად.

15 თებერვალს სსრ კავშირის ნაკრები მილანის სტადიონზე შეხვდა ადგილობრივ „ინტერს“.

თამაშმა დიდი ინტერესი გამოიწვია, სტადიონი თითქმის სავსე იყო მაყურებლებით, იტალიის ტელევიზიამ მეორე პროგრამით გადასცა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი. თამაში დაიწყო მილანელთა მძლავრი შეტევებით, მათ თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა, მაგრამ მე-6 წუთზე როდიონოვს ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა მიეცა, მცირე ხანში იარემჩუკის ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე ძენგამ. მე-19 წუთზე მილანელთა ერთ-ერთი იერიშისას საბჭოთა ნაკრების მცველმა უხეშად ითამაშა, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა და კუკემ ზუსტი დარტყმით გაიტანა ბურთი — 1:0.

მატჩის დასასრულს საბჭოთა ფეხბურთელები ამაოდ ეცადნენ თუნდაც საპასუხო ბურთის გატანას, ვერ გამოიყენეს კარგი შესაძლებლობანი პროტასოვმა, ტიშჩენკომ, ჩერენკოვმა, ხოლო თამაშის ბოლო, 90-ე წუთზე იარემჩუკმა რამდენიმე სანტიმეტრით ააცილა ბურთი „ინტერის“ კარს. საბოლოოდ იტალიელმა ფეხბურთელებმა შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: **სსრ კავშირი** — ჩანოვი, კუზნეცოვი, ზიგმანტოვიჩი, ლუჟნი, ბესონოვი (ჩერენკოვი), რაცი, იაკოვენკო (ტიშჩენკო), ლიტოვჩენკო, იარემჩუკი, პროტასოვი, როდიონოვი: **„ინტერი“** — ძენგა (მალჯილიო), ბარეზი (ფერი), როსინი, ბრემე (ვიანკი), ბერგომი (რიკოლტა), მანდორლინი, დი ჯა, ბერტი, კლიზჩინა (სერენა), კუკი, მორელო (ვერდელი).

● **მომავალი** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრათა დაწყებამდე 4 თვეა დარჩენილი, მაგრამ რომში და მის მახლობლად 80 კილომეტრის რადიუსით მდებარე ქალაქებში ივნის-ივლისისთვის უკვე შეუძლებელია ადგილების დაჯავშნა სასტუმროებში. მოელიან, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში იტალიის დედაქალაქში 3-მილიონიანი ფეხბურთის მოყვარულთა არმია მოიყრის თავს.

● **მსოფლიო** ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა ადგილობრივი დროით 21 საათიდან 17 საათისთვის გადასწიოს არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და კოლუმბიის (9 ივნისი, ბოლონია, IV ჯგუფი), აგრეთვე, კამერუნისა და რუმინეთის (14 ივნისი, ბარი, II ჯგუფი) გუნდების შეხვედრათა დასაწყისი. საქმე ისაა, რომ ამ დღეებში სწორედ 21 საათზე დანიშნულია პირველი ჯგუფის შეხვედრები: იტალია-ავსტრია და იტალია-აშშ. ახლა ფეხბურთის მოყვარულებს საშუალება მიეცემათ დაესწროს ყველა ამ თამაშს.

● **ფრანს პრესის** სააგენტოს კორესპონდენტი იტალიის ქალაქ პეზაროდან იუწყება, რომ სსრ კავშირის ნაკრების ნახევარმცველმა ალექსეი მიხაილიჩენკომ ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩში, რომელიც ალექსანდრიაში გაიმართა, მუხლი დაიზიანა. იტალიელმა ექიმმა რაულ ძინიმ დასვა დიაგნოზი: მენისკის დაზიანება. ექიმები ამჟამად დაკვირვებას ატარებენ, იმის დასადგენად რამდენად სერიოზულია ა. მიხაილიჩენკოს ტრავმა.

● **მსოფლიო** ჩემპიონატის მსვლელობისას იტალიის 12 ქალაქში, სადაც თამაშები ჩატარდება, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას დადგამენ დიდ ტელეეკრანებს, რომელთა საშუალებითაც ფეხბურთის მოყვარულებს შეეძლებათ თვალი ადევნონ თამაშებს. ამ ტელეგადაცემებით მათ საშუალება მიეცემათ, აგრეთვე, მიიღონ საჭირო ინფორმაცია მონაწილე გუნდებისა და ცალკეული ფეხბურთელების შესახებ.

● **როგორც** ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა ჟურნალისტებს განუცხადა, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მისი გუნდი შემდეგ თამაშებს ჩაატარებს:

28 მარტს ალიკანტეში შეხვდება ესპანელებს, 11 აპრილს ვენაში — უნგრელებს, 3 მაისს აქვე — არგენტინელებს, 30 მაისს ასევე ვენაში ჰოლანდიელებს, იტალიაში გამგზავრების წინ (დღე ზუსტად არ არის დადგენილი) ზალცბურგში — პორტუგალიელებს.

„ზენიტის“ რიგები თხელდება

ლენინგრადის „ზენიტის“ საფეხბურთო კოლექტივმა შარშან უმაღლესი ლიგის საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატში ბოლო ადგილი დაიკავა და I ლიგაში ჩამოქვეითდა. კლუბში მრავალი ცვლილება მოხდა. მიიწვიეს ახალი მთავარი მწვრთნელი ა. კონკოვი, მან სხვადასხვა მიზეზით დასაჯა, ან გუნდიდან გაათავისუფლა რამდენიმე ფეხბურთელი, (ბირიუკოვი, აფანასიევი, დოლგოპოვი, ტიმოფეევი, იგნატენკო), ახლა კი აღმოჩნდა, რომ „ზენიტი“ კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდება. 33 წლის წამყვანმა ფეხბურთელმა ნ. ლარიონოვმა ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი შვეიცის „კირუნასთან“. იგი 15 მარტისთვის უნდა ჩავიდეს შვეიცარიაში, შემდეგ კი „კირუნას“ შემადგენლობაში ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავროს პორტუგალიასა და ესპანეთში.

ლენინგრადელთა ნახევარმცველი ი. ჟელუდკოვი შვეიცის მეორე ლიგის ერთ-ერთ კლუბში ითამაშებს, ხოლო ბ. ჩუხლოვი და ა. დავიდოვი მიწვეული არიან ფინეთის მუშათა კლუბ „პონისტუსში“.

ჰაჯი თავისას არ იშლის

რუმინეთის ფეხბურთელები სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეები არიან იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე. რუმინელთა ყველაზე ძლიერი ფეხბურთელია თავდამსხმელი ჰაჯი, მაგრამ დანიისა და რუმინეთის გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჰაჯი მინდვრიდან გააძევეს, ამიტომაც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით მას აეკრძალა მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში მონაწილეობა, რომელიც რუმინელებს სსრ კავშირის ნაკრებთან აქვთ (ქ. ბარი, 9 ივნისი).

ამას წინათ რუმინელებმა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართეს ალჟირის გუნდთან (0:0) და ჰაჯი... კვლავ გააძევეს მინდვრიდან.

შქლიერმსს — პლატინის გშრთი

მსოფლიოს მე-14 საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მიიღებს 100 ათას დოლარად ღირებულ ბურთს. პრიზის დამფუძნებელთა ცნობით ბურთი დამზადებულია პლატინის, ოქროსა და ვერცხლისგან.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბანგკოკი. ტაილანდის დედაქალაქში გამართულ 21 წლამდე ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა ფეხბურთელები ფინალში შეხვდნენ ჩინელ თანატოლებს, პირველი ტაიმი წააგეს (0:1), შემდეგ გაათანაბრეს ანგარიში და დამატებით დროში გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

აქვე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც „სამეფო თასი“ ეწოდება, ვოლგოგრადის „როტორმა“ დამატებით დროში მარცხი იწვნია ტაილანდის ნაკრებისგან — 1:2.

დუბაი. იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების მონაწილე არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო შვეიცის გუნდს — 2:1 (0:0). მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ტალიანიმ და ბხაკმა. შვედებმა მხოლოდ 82-ე წუთზე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა (შვარცი).

კაირო. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის სხვა მონაწილემ ეგვიპტის ნარებმა ფრედ დაამთავრა ამხანაგური შეხვედრა დანიელებთან — 0:0. ეს იყო ეგვიპტელთა პირველი მატჩი მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისის პროგრამით. თამაშის დასასრული უაღრესად ძნელ პირობებში მიმდინარეობდა, ვინაიდან კაიროს იმ დღეს ძლიერი ქვიშიანი გრიგალი დაატყდა თავს.

ვაშინგტონი. ამერიკის ნაკრებმა გაიმარჯვა ბერმუდის კუნძულების გუნდთან ამხანაგურ შეხვედრაში —1:0 (0:0).

რომი. იტალიის თასის გათამაშების ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს ტურინის „იუვენტუსმა“ და „მილანმა“.

„მილანმა“ სტუმრად დაამარცხა „ნეაპოლი“ — 3:1. გამარჯვებულთაგან ორჯერ გამოიჩინა თავი მასარომ და ერთხელ — ვან ბასტენმა (11-მეტრიანი). ერთადერთი საპასუხო ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა მარადონამ. ამ გუნდების პირველი შეხვედრა ორი კვირის წინ ფრედ დამთავრდა — 0:0.

„იუვენტუსს“ პირველ შეხვედრაში „რომა“ დამარცხებული ჰყავდა ანგარიშით 2:0. ტურინელთა მატჩი რომში მარცხიანად დაიწყო. 27-ე წუთისთვის „რომა“ იგებდა ანგარიშით 2:0, შესვენების შემდეგ სტუმრების კარში მესამე გოლიც გაკიდა, მაგრამ „რომამ“ მოუკლო აქტიურობას და „იუვენტუსმა“ ორი ბურთი გაქვითა.

პირველი ფინალური მატჩი შედგება 26 თებერვალს, საპასუხო — 14 მარტს.

სრული დატვირთვით შეუდგა ვარჯიშს „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ფრენკ მაკავენი. ხუთი თვის წინ „სტოუკ სიტისთან“ შეხვედრაში იგი მძიმედ დაშავდა და მას მერე აღარ უთამაშია. 30 წლის მაკავენი შოტლანდიის ნაკრების წევრია. იგი იმედოვნებს, რომ თებერვალში უკვე შეძლებს მინდორზე გამოსვლას.

მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელები ფრიად კმაყოფილი არიან უელსელი მწვრთნელის ჯონ ტოშაკის მუშაობით. „რეალი“ პირველი წრის დაწყებიდან თითქმის მუდამ ლიდერობდა და ეს წრე პირველმა დაამთავრა. „კმაყოფილი ვარ მწვრთნელისა“, — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა რამონ მენდოსამ — „გუნდი ისე თამაშობს, თითქოს თვლაზე იყოს შემდგარი“.

დანიის ნაკრების მწვრთნელი ზეპ პიონტეკი გადადგომით დაიმუქრა თუ დანიის ფეხბურთის ფედერაცია დროზე არ განაახლებს მასთან კონტრაქტს. 46 წლის პიონტეკი 11 წელია წვრთნის დანიის ეროვნულ ნაკრებს, მის კონტრაქტს წლეულს 30 ივნისს უთავდება ვადა. მან თხოვნით მიმართა ფედერაციის მესვეურებს, რომ კიდევ ექვსი წლით გაუგრძელონ კონტრაქტი, მაგრამ უკეთესი პირობებით. შარშან, ნოემბერში რუმინელებთან გამართული მატჩის შემდეგ, რომელმაც დანიის გუნდი ჩემპიონატის ფინალის მიღმა დატოვა, პიონტეკმა განაცხადა, რომ ოთხი წელი იქნება ნაკრების მწვრთნელი, დარჩენილ ორ წელს კი ტექნიკურ მრჩევლად იმუშავებს.

დღეს ლვოვში

...იწყება ჭადრაკში მსოფლიოს მომავალი პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი და საერთაშორისო ოსტატი გია გიორგაძეც მონაწილეობენ.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა ჩინებულად წარმართა შარშანდელი წელი. „ლელოს“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ მან პირველი პრიზები მოიპოვა ამსტერდამისა და ლონდონის საერთაშორისო ტურნირებში, კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებზე გავიდა და, რაც მთავარია, საკუთარი რეიტინგი 2610 ქულამდე გაზარდა. ამ მაჩვენებლით იგი XVI-XIX ადგილებს იყოფს და მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ელიტაში შედის. ამდენად, მისგან უკვე ყველა ტურნირში გარკვეულ წარმატებებს ველით.

ბოლო წლებში გია გიორგაძემაც არაერთ წარმატებას მიაღწია. მარშან საკავშირო ჩემპიონატშიც კარგად ითამაშა და ორ საგანგებო პრიზსაც დაეუფლა. იმედია, გიორგაძეც შეეცდება არ გააწბილოს გულშემატკივრები. თუმცა, ერთი კია, როგორც აზმაიფარაშვილს, ისე გიორგაძესა და ამ ტურნირში მონაწილე ნებისმიერ მოჭადრაკეს ერთობ გაუჭირდებათ. საქმე ისაა, რომ მათ მეტად ხანმოკლე დისტანცია აქვთ გასავლელი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ეწყობა და მხოლოდ 9 ტური გათამაშდება. მაგრამ წინასწარ [illegible] ... [illegible] ... [illegible] თქმა, ენახოთ, მთავარია [illegible] ... [illegible] მოჭადრაკეებმა იმედიანად, რწმენით, თავისუფლად ითამაშონ, არ აყვნენ ემოციებს და, ვფიქრობთ, ანუკვარ მიზანსაც მიაღწევენ — იმ ხუთ უძლიერეს შორის მოიპოვებენ ადგილს, რომლებიც ოქტომბერში მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში ამოვლენ.

აი, ქართველ მოჭადრაკეთა გარდა ვინ ითამაშებს ლვოვში: მსოფლიოს ექსჩემპიონი, 69 წლის ვასილი სმისლოვი, დიდოსტატები სერგეი ; დოლმატოვი, იური ბალაშოვი, ევგენი ბარეევი, ალექსეი ვიქმანავინი (ყველა — მოსკოვი), ლევ პოლუგაევსკი, ვლადიმერ მალანიუკი, ალექსეი დრეევი (სამივე — რსფსრ), ბორის გელფანდი (მინსკი), ვიქტორ გავრიკოვი (ვილნიუსი), ვლადიმერ ტუქმაკოვი, ვიაჩესლავ ვინგორონი, კონსტანტინე ლერნერი (სამივე — ოდესა) ალექსანდრე ჩერნინი (ხარკოვი), გენადი კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ოლეგ რომანიშინი (ლვოვი), სმბაილპუტიანი (ერევანი), საერთაშორისო ოსტატები — ლემბიტ ოლი (ტალინი), ალექსანდრე ხალიფმანი, ლეონიდ იუდასინი, კონსტანტინე ასეევი (სამივე — ლენინგრადი), სემიონ დვოირისი (ჩელიაბინსკი), იგორ [illegible]ვკოვი (ხარკოვი), ედუარდ როზენტალისი (ვილნიუსი), ილია სმირინი (მინსკი), ალექსეი ხარიტონოვი (მოსკოვის ოლქი) და სხვ.

„მერანი“ № 4

გამოვიდა გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მე-4 ნომერი.

დღეს, 17 თებერვალს ლვოვში იწყება მსოფლიოს მომავალი პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი. ამ შეჯიბრებას ეძღვნება I-II გვერდზე გამოქვეყნებული წერილი „ზონალურის სტარტზე“.

როგორც იცით, წლეულს ჰასტინგსის საახალწლო ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ. „მერანის“ ამ ნომერში გამოქვეყნებულია ქართველი მოჭადრაკის მიერ ინგლისში ნათამაშევი პარტიები მისივე შენიშვნებით.

დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება საჭადრაკო კომპოზიტორის რევაზ თავარიანის პუბლიკაცია „როსტომ წერეთლის დებიუტი“?!

რუბრიკით „შედევრი“ გივი გამრეკელი ამჯერად დავით იანოვსკის შემოქმედებაზე ესაუბრება მკითხველს.

დასრულდა „მერანის“ ერთწლიანი კონკურსი „თქვენი სვლაა, მკითხველო!“ კონკურსის მონაწილენი ბოლო დავალებებს მიიღებენ, რომელთა პასუხები რედაქციაში 28 თებერვლამდე უნდა გამოგზავნონ.

ცნობილ საბჭოთა საჭადრაკო ეტიუდისტს ჰენრიხ კასპარიანს 80 წელი შეუსრულდა. ამ მოვლენას ეძღვნება პუბლიკაცია „ეტიუდის დიდოსტატი“.

„მერანის“ ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა, აგრეთვე, ინფორმაციას უნგრელი დები პოლგარების მიერ ბოლო ხანს ნათამაშევი ტურნირების შესახებ. რეჯიო-ემილიას საახალწლო ტურნირზე უნგრელმა ვეტერანმა, დიდოსტატმა ლაიოშ პორტიშმა ჩინებული პარტია მოუგო ამერიკელ ნიკ დე ფირმიანს. „მერანის“ მკითხველები ამ პარტიასაც გაეცნობიან. არანაკლებ ჩინებული კომბინაცია განახორციელა იტალიის ქალაქ დ' ოსტის საერთაშორისო ტურნირში იუგოსლაველმა ოსტატმა ზაკიჩმა თავის თანამემამულესთან. საერთაშორისო ოსტატ ცვეტკოვიჩთან შეხვედრაში. ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ მიმომხილველის აზრით, ეს იყო „წლის შეწირვა“. „მერანის“ მკითხველებს საშუალება აქვთ თავად განსაჯონ, მართლაც „წლის შეწირვა“ იყო თუ არა ეს...

„ბებეტოს არავის დავანებებთ“!

რადაც არ უნდა დაუჯდეს, რიოდე-ჟანეიროს „ვასკო და გამა“ აპირებს თავის საუკეთესო თავდამსხმელ ბებეტოს (იგი ბრაზილიის ნაკრების წევრიცაა) შენარჩუნებას. საქმე ის არის, რომ ეს კლუბი, რომელიც დიდი სიმდიდრით არ გამოირჩევა, სისტემატურად იღებს იტალიის სხვადასხვა გუნდების თხოვნას (ასტრონომიული თანხის ფასად) დაუთმოს მათ ბებეტო.

ოლიმპიური ტურნირი — 4 ქალაქში

ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირი ჩატარდება 4 ქალაქში: ბარსელონაში, სარაგოსასა, სანადელსა და ვალენსიაში.

გდრ-ის გუნდები — გფრ-ის თასზე

როგორც გფრ-ს ფეხბურთელთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, უახლოეს მომავალში ვერ განხორციელდება პროექტი გდრ-ის კლუბების ბუნდესლიგაში გამოსვლის შესახებ. სამაგიეროდ, განაცხადა მან, ახლა ამ ორი რესპუბლიკის საფეხბურთო ორგანიზაციები განიხილავენ გდრ-ის გუნდების გფრ-ს თასზე გამოსვლის შესაძლებლობას, რაც სავსებით რეალურად მიაჩნიათ.

ევროპელი მწვრთნელების გამოკითხვა

ევროპელი მწვრთნელების გამოკითხვის შედეგად უნდა გამოვლენილიყვნენ კონტინენტის 1980-1989 წლების საუკეთესო ფეხბურთელები, სხვა სიტყვებით — უკანასკნელ ათწლეულში. ეროვნული ნაკრებების თითოეული მწვრთნელი სამ მოთამაშეს ასახელებდა, პირველს 5 ქულა ენიჭებოდა, მეორეს — 3, მესამეს კი — ქულა.

ამას წინათ ბერლინის ჟურნალმა „ფუიეომ“ გამოაქვეყნა კონკურსის სრული შედეგები: მიშელ პლატინი (საფრანგეთი) — 50 ქულა, დიეგო მარადონა (არგენტინა) — 47, მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)— 24, რუუდ გულიტი (ჰოლანდია) — 13, ანტონიო კარეკა (ბრაზილია) — 6; ზიკო (ბრაზილია) — 5; მარიო კემპესი (არგენტინა) — 5, იან კულემანსი (ბელგია) — 3, ბრაიან რობსონი (ინგლისი) — 3, პიტერ შილტონი (ინგლისი) — 2, მორტონ ოლსენი (დანია), ენ ტიგანა (საფრანგეთი) და დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია) — თითო ხმა.



სსრ კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

„ქალგირისის“ ორი გამარჯვება

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები:

მინსკი. ადგილობრივი რტი-სა და დონეცკის „შახტიორის“ ორთაბრძოლაში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს. პირველი შეხვედრა სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა 93:84 (48:46), მეორე კი მასპინძლებმა მოიგეს დიდი გაჭირვებით 79:78 (46:40).

კაუნასი. „ყალგირისმა“ ორი გამარჯვება მოიპოვა ალმა-ათის არმიელებთან შეხვედრაში — 109:101 (55:49) და 89:76 (43:41) და ერთგვარად გამოიკვეთა სატურნირო მდგომარეობა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 თებერვლისთვის

ცსკა	31	27	4	58
„დინამო“ (მ.)	32	24	8	56
„ბუდიველნ.“ (კ.)	34	21	13	55
ჟეფ (რიგა)	34	19	15	53
„უალგ.“ (კაუნ.)	33	15	18	48
„კალევი“ (ტალ.)	29	17	12	46
რტი (მინსკი)	32	12	20	44
ახკ (ალმა-ათა)	27	15	12	42
„სპარტ.“ (ლენ.)	30	12	18	42
„დინამო“ (თბ.)	29	12	17	41
„შახტ.“ (დონ.)	32	9	23	41
„სტატ.“ (ვილნ.)	32	5	27	37

ზამთარ-ზაფხულ-წყლის თხილამურებზე

სად შეიძლება შეხვდეთ თებერვალში მსოფლიო ჩემპიონსა და რეკორდსმენს წყალსათხილამურო სპორტში ნატალია რუმიანცევას? საქართველოს ქალაქ ფოთში აგებული მშვენიერი ბაზის წყალობით მას ზამთარი აღარ აფერხებს.

— მართალია, მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ ეს არის შესანიშნავი კომპლექსი, — თქვა ნატაშამ. — საუცხოო ტრასა, კატარღები, გადახურული აუზი ორი საუნით, არაფერს ვამბობ იდეალურ კლიმატურ პირობებზე. საზღვარგარეთ ბევრი წყალსათხილამურო ცენტრი მინახავს. მათ ზღვისპირას, საკურორტო ადგილებში აშენებენ. ხალხი ისვენებს კიდეც და შეჯიბრებებსაც სიამოვნებით ესწრება. არც წყლის თხილამურებით სრიალზე ამბობენ უარს — ეს კი რიგიანი შემოსავლის წყაროა.

მართლაც: შავი ზღვის სანაპიროზე, ვრცელ ტყე-პარკში აშენებული ფოთის ცენტრი პირველი ნახვისთანავე მოგხიბლავთ. შთაბეჭდილება არც მეორედ ნახვისას გაგინელდებათ. დღეისათვის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმართვის ასეთი პირობები მხოლოდ რუსეთისა და ბელორუსიის რამდენიმე ქალაქის სპორტსმენებს თუ აქვთ. ახლა საქართველოს წყალმოთხილამურეებსაც მიეცათ ამ წარმტაცი სპორტის სახეობის დანერგვის საშუალება. შეჯიბრებებზე, ცხადია, ათასგვარი მოულოდნელობა ხდება, მაგრამ, როგორც წესი, წარმატებას აღწევენ ისინი, ვისაც წვრთნის

და საერთაშორისო შეჯიბრებებში. სერიოზული განაცხადი გააკეთეს ფოთელმა წყალმოთხილამურეებმა კრილატსკოეში გამართულ შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატზეც.

მოხდა ისე, რომ ამ ბოლო დროს მთელი ყურადღება ჩვენი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებზე გადავიტანეთ. იქნებ ამიტომაცაა, რომ სასიკეთო საქმენი, გერგილიანი, გატაცებული, საქმიანი ადამიანები ყურადღების მიღმა გვრჩება. ასეთი ენთუზიასტი აღმოჩნდა რ. მელია, ფოთის ჩაის კომბინატის — ამ წყალსათხილამურო ცენტრის სპონსორის დირექტორი.

„ადამიანისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის შეგრძნება, რომ მასზე ზრუნავენ, აკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ მან არა მარტო „დამკვრელურად იშრომოს“, არამედ ნორმალურადაც იცხოვროს. ჩემთვის ეს აქსიომაა,— გვითხრა რ. მელიამ.—ამიტომაც შეიქმნა ეს ცენტრი. ხალხს რომ დასვენება, გართობა სურს, ჩვენი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში კი რა უნდა იყოს წყლის თხილამურებით სრიალზე უკეთესი. არხის, მშენებლობასა და ტრასის გაყვანაზე, ადმინისტრაციული შენობის მაყურებელთა ტრიბუნისა და აუზის აგებაზე უკვე 2 მილიონი მანეთი დაიხარჯა. წელიწადნახევრის განმავლობაში მალთაყვის ტყე-პარკში დაგეგმილია 250-ადგილიანი სასტუმროს, მხატვრის სახლისა და კოტეჯების ჩადგმა. იქნებ ზედმეტად ამაყადაც ქცევდეს, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ეს კომპლექსი, დასრულებული სახით, არაფრით ჩამოუვარდება უცხოეთის საუკეთესო ბაზებს“.

ასეთ პირობებში სერიოზულად შეიძლება ლაპარაკი მასობრიობაზე სპორტის ამ სახეობაში. ცნობილია, რა სიამოვნებით აკითხავენ ყმაწვილები წყალსათხილამურო სექციებს სავარჯიშოდ. მაგრამ ამ საქმეს შედეგი მხოლოდ მაშინ მოჰყვება, თუ ყველა რესპუბლიკაში, ყველა რეგიონში აიგება ისეთი წყალსათხილამურო კომპლექსი, როგორიც ფოთშია, სადაც შესაძლებელი იქნება გაიმართოს ყველაზე მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირები.

ნ. მოსკოვსკაია,
საკდეხის სპეც. კორ.

ფოთი.

ეროვნული ფერადოვნება

გომელში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი 1976 წელსა და უფრო გვიან დაბადებულ მოჭადრაკე გოგონათა შორის. დიდ წარმატებას მიაღწიეს თბილისელმა თამარ ფაჩულიამ, სოხუმელმა რუსუდან გოლეთიანმა და ქუთაისელმა ინგა აფხაიძემ, რომლებმაც 14 (ფაჩულია) და 12 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობების შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ გომელის ტურნირიდან შესარჩევ შეჯიბრებებში 5-5 მოჭადრაკე გადიოდა. 7,5 ქულით ჩემპიონის წოდება ვორონეჟელმა ო. კოზლოვსკაიამ მოიპოვა. ამდენივე ქულა მოაგროვა ხერსონელმა ნ. გაპონენკომ, მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო იგი II ადგილზე დარჩა. III-IV ადგილები გაიყვეს ფაჩულიამ და გოლეთიანმა — 6,5-6,5 ქულა. აფხაიძემ 5,5 ქულით VIII-XIV ადგილები გაიყო.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-6 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.817.466 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (122) მოგება 469 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (3.467) — 33 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (30.482) — 13 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 32.125 ვარიანტი. 13—5 (ჭიათურა, სამტრედია, გორი, თბილისი — 2), 12—161, 11—1454.

მე-6 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 3 მარტიდან 3 აპრილს ჩათვლით.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-6 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.918.877 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (50) მოგება 1.632 მანეთია, ოთხისთვის (2.272) — 38, სამისთვის (39.963) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 60.309 ვარიანტი. 6—0, 5—1 (თბილისი), 4-62, 3—1.330.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 19.079.114 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (20) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5.266) — 196, სამისთვის (203.580) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 589.157 ვარიანტი. 5—0, 4—150 3—6.103.

მე-6 და 1989 წლის 50-ე ტირაჟიდან 1990 წლის მე-6 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 3 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით.

ვის როგორ ულხინს

„ოლ სტარზ უიკენდი“

ბაიერი. აქ გაიმართა პროფესიული კალათბურთის თავისებური ფესტივალი — „ოლ სტარზ უიკენდი“, რომელშიც ერომანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციების (ლიგების) ნაკრები გუნდები. ანგარიშით 130:113 გაიმარჯვა აღმოსავლეთის ნაკრებმა. ამ გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: მაიკლ ჯორდანი (17), ჩარლზ ბარკლი (17), აიზია თომასი (15). დასავლეთის ნაკრებში თავი გამოიჩინეს ირვინ (მეჯიკ) ჯონსონმა (22) და ტომ ჩემბერსმა (21).

მატჩის დამთავრების შემდეგ გაიმართა ტრადიციული კონკურსი სამქულიან ტყორცნებში. აქ ყველას აჯობა „ჩიკაგო ბულსის“ წარმომადგენელმა გრეიგ ხოჯესმა (19 შედეგიანი ტყორცნა ზედიზედ).

დასამალი რაა, ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ მსოფლიოს უძლიერესი მოკრივე მაიკ ტაისონი დღეს საშინელ გუნებაზეა და ალბათ წყევლა-კრულვას უგზავნის ჯეიმს დუგლასს, რომელმაც იგი ნოკაუტში გაგზავნა და აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ჩამოართვა (ჯერჯერობით, სანამ სპეციალურ ქიურის არ განუხილავს ტაისონის მენეჯერის პროტესტი მსოფლიო ჩემპიონად დუგლასი ითვლება).

ჰაბუკთა ჩემპიონატების კომიტეტის თავმჯდომარემ და მსოფლიოს მოკრივეთა ასოციაციის პრეზიდენტის პირადმა მრჩეველმა, სპორტის ამ სახეობის ყველაზე ავტორიტეტულმა სპეციალისტმა მარტინ კოენმა ამ ორთაბრძოლის შემდეგ განაცხადა. „მითი რკინის მაიკზე დასრულდა. ტაისონი ვერასდროს ვერ დაიღწევს თავს ფსიქოლოგიურ შოკს, რომელიც ამ ორთაბრძოლის შემდეგ მიიღო.

კოენმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ იგი ოდნავადაც არ არის გაკვირვებული ამ შეხვედრის შედეგით. მან თქვა: „ტაისონი მართლაც ძლიერი ყმაწვილია, მაგრამ ძალზე ცუდი მებრძოლი და ამაში ბრალი მის მენეჯერს, დონ კინგს მიუძღვის, რომელმაც მოწაფის გარშემო მეორეხარისხოვანი მოკრივეები შემოკრიბა. მაიკი უფრო დიდ დროს ბანკეტებზე სიარულს ანდომებდა ნაცვლად იმისა, რომ ძლიერ მეტოქეებთან ევარჯიშა. ახლა ორივემ უნდა აგოს პასუხი ასეთი უპასუხისმგებლობისთვის“.

როგორც ცნობილია, შარშან ტაისონმა ანალოგიურ მატჩში დაამარცხა ინგლისელი ფრენკ ბრუნო. მართალია, ბრძოლა არ გაგრძელებულა ხუთ რაუნდზე უფრო დიდხანს, მაგრამ დამარცხებულმა კარგ ხასიათზე დატოვა რინგი. ბრუნო საერთოდ კეთილი, გონებამახვილი კაცია, რომელსაც მიაჩნია, რომ მარცხი სპორტში არამც და არამც არ წარმოადგენს ტრაგედიას და ადამიანი მომავლის რწმენით უნდა ცხოვრობდეს.

ერთი წლისთავზე ფრენკ ბრუნოს, როგორც სამაგალითო და ოპტიმისტ სპორტსმენს, ბუკინჰემის სამეფო სასახლეში ინგლისის უმაღლესი ჯილდო გადაეცა. იგი გახდა „ბრიტანეთის იმპერიის“ რაინდი. დაჯილდოვების ცერემონიალს ესწრებოდა პრინცი ჩარლზი, რომელმაც პირადად გადასცა მოკრივეს უმაღლესი ჯილდო.

შენიშვნა: ცნობილი გახდა, რომ სამმა ორგანიზაციამ, რომლებიც კურირებენ პროფესიულ კრივს, ესენი კი არიან კრივის საერთაშორისო ფედერაცია, მოკრივეთა მსოფლიო ასოციაცია და კრივის მსოფლიო საბჭო დაამტკიცა მაიკ ტაისონ-ჯეიმს დუგლასის ბრძოლის შედეგი და ეს უკანასკნელი მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად გამოაცხადა პროფესიონალთა შორის.

ბენ ჯონსონი ბრუნდება?!

„ზოგი ჰირი მარგებელია“, — უთქვამთ და ეს ანდაზა ნაწილობრივ მაინც ეხება სახელგანთქმულ კანადელ სპრინტერს ბენ ჯონსონს, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი ფენომენალური რეკორდებით (1987-1988 წლებში მან ასი მეტრი გაირბინა 9.83 და 9.78 წამში), და იმითაც, რომ იგი... სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ამხილეს დოპინგის ხმარებაში. სპორტსმენს დისკვალიფიკაცია მისცეს, ჩამოართვეს ტიტულები, ფირმებმა გააუქმეს მასთან დადებული სარეკლამო კონტრაქტები, რის გამო ჯონსონის ფინანსურმა ზარალმა 15 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

სულ ახლახანს კი ჯონსონის სახელი კვლავ გამოჩნდა გაზეთების პირველ გვერდზე. მიზეზი? ტორონტოში ბენმა საწვრთნელ გარბენში ისევ აჩვენა ძალიან მაღალი შედეგი — 10,04 წამი. ჯონსონი განაგრძობს ვარჯიშს ჩარლ ფრენსისის ხელმძღვანელობით. მწვრთნელს მასთან უშუალო კონტაქტი არ აქვს— სასამართლომ აუკრძალა, და ამიტომ იგი ბენს ტელეფონით უკავშირდება. ჯონსონის გულახდილობას მოსამართლე ჩარლ დუბინის წინაშე ბუმერანგის ეფექტი ჰქონდა, ჩარლი მოეცხო კანადის მძლეოსნობის ფედერაციას და იგი, თავის მხრივ, ექვსი წლის დისკვალიფიკაციით დაემუქრა ყველას, ვინც „ენას კბილს არ დააჭერს“. ბიოქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელმა დოქტორმა ბენი ნიგმა განაცხადა: „ჯონსონი ახლა ყველას ებრძვის. სიმართლე ფედერაციას არ მოეწონა, რადგან იგი ვეღარ გამოიყენებს სპორტის სიწმინდისათვის მებრძოლის ნიღაბს. ბენს ჭირმა სარგებელიც მოუტანა“.

მართლაც, ანკეტამ, რომელიც ჩაატარა ჟურნალმა „სპორტ ილუსტრეიტიდ“, აჩვენა, რომ გამოკითხულთა 57 პროცენტმა მხარი დაუჭირა ჯონსონის რეაბილიტაციას, 76 პროცენტმა კი შესაძლებლად მიიჩნია სპორტსმენის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე დაშვება. იგივე აზრისაა სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩიც. თუმცა კანადელთა უმრავლესობა, მიუხედავად იმისა რომ თავის ქვეყანაში ჯონსონს ბევრი ჯერაც გულშემატკივრობს, მოითხოვს დოპინგის მიღებაში მხილებული ყველა სპორტსმენის სამუდამო დისკვალიფიკაციას.

ამასობაში ჯონსონი ინტენსიურად ემზადება, გამოდის ტელევიზიით, იძლევა ინტერვიუებს. კანადელის ერთ-ერთ ასეთ გამოსვლას ფრანგმა სპორტსმენმა ბრუნო მარირროზმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: „გაოგნებული ვარ! ჩვენ თავდაუზოგავად ვშრომობთ, ბენი კი ფულს აკეთებს. ვერ გამიგია, ვინ დასაჯეს“?!

მართლაც, ფანტასტიკური ზარალის მიუხედავად ჯონსონს არ დაუკარგავს თავისი საყვარელი შავი „ფერარი“ და დედასთან ერთად სრული კომფორტით ცხოვრობს.

თვითონ სპრინტერი კი ამბობს: „გაათკეცებული მონდომებით ვვარჯიშობ. კუნთები აღარ მეზრდება, მაგრამ ას მეტრს ათ წამზე სწრაფად მაინც ვავირბენ. ძალიან მინდა ბარსელონაში გავიმარჯვო...“

ბი-ბი-სიმ მსოფლიოს გააცნო ვინმე კრის ტაუ, რომელიც სპეციალისტების დახმარებით ცდილობს დაამტკიცოს თითქოს მამაკაცის ჰორმონებზე ტესტოსტერონზე შექმნილი ანაბოლიკური სტეროიდი არავითარ გავლენას არ ახდენს სპორტსმენის შედეგებზე, არ უწყობს ხელს კუნთების ზრდას და არც სტიმულატორია. უნდა ითქვას, რომ ტაუს მტკიცება ძალზე საეჭვო ჩანს.

მოამზადა
დავით დემეტრაშვილმა.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე

საქართველოს ცხენოსნობის ფედერაცია და ფოთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცხენოსნობაში ფოთის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარე

ზეინი კონსტანტინეს ძე ტაბიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, დეკანოზის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივნო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „შერანი“ — 98-97-26, „ბარავი“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შბამის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380000, თბილისი, დეკანოზის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე: ხიშარულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08742